

შიგა, შიდა მორფემებისათვის

ავტორი მაკა ლაბარტყავა

არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი (საქართველო) ფილოლოგიის
აკადემიური დოქტორი

ელფოსტა: labartkavamaka@gmail.com

ანოტაცია

სტატიაში გაანალიზებულია თანამედროვე ქართულში შიგა და შიდა სინონიმური წყვილით გაფორმებული ლექსიკური ერთეულების პარალელური გამოყენების შემთხვევები, რომლებიც თავისუფლად მონაცვლეობენ რადიო-ტელევიზიისა თუ პრესის ენაში, აგრეთვე სხვადასხვა დარგის ლექსიკონებში. მაგ.: შიგასაუნივერსიტეტო, შდრ.: შიდასაუნივერსიტეტო; შიგაგაყვანილობა, შდრ.: შიდაგაყვანილობა; შიგაწვა, შდრ.: შიდაწვა... განხილულია ზემოთ დასახელებულ (შიგა, შიდა) მორფემადართულ ლექსიკურ ერთეულთა გამოყენების შემთხვევები თანამედროვე ქართულ ენაში და მოცემულია სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ შიდა მორფემებიანი ლექსიკური ერთეულები სჭარბობენ შიგა მორფემებიანი ლექსიკურ ერთეულებს.

სტატიაში აგრეთვე გამოთქმულია თვალსაზრისი, თუ როგორ იქნეს გათვალისწინებული შიდა და შიგა მორფემებიანი ლექსიკური ერთეულები ახალ ორთოგრაფიულ ლექსიკონში.

საკვანძო სიტყვები:

შიგა, შიდა, მორფემა, კომპოზიტი, გავრცელებულობა.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე ქართულში თვალში საცემია შიგა და შიდა სინონიმური წყვილით გაფორმებული ლექსიკური ერთეულების (თუ ტერმინების) პარალელური გამოყენების შემთხვევები. ისინი თავისუფლად მონაცვლეობენ რადიო-ტელევიზიისა თუ პრესის ენაში, აგრეთვე სხვადასხვა დარგის ლექსიკონებში. მაგ.: შიგასაუნივერსიტეტო, შდრ.: შიდასაუნივერსიტეტო; შიგაგაყვანილობა, შდრ.: შიდაგაყვანილობა; შიგაწვა, შდრ.: შიდაწვა; შიგაწვევა; შდრ.: შიდაწვევა; შიგატურიზმი, შდრ.: შიდატურიზმი; შიგაცხე, შდრ.: შიდაცხე და ა. შ.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ შიგ, შიგა ზმნისართების შესახებ ვკითხულობთ: „1. აღნიშნავს, რომ ვინმე ან რამე იმაშია, რაზედაც მიუთითებს ამ ზმნისართით ნაგულისხმევი სიტყვა. სახლის მარცხნივ პატარა ადგილია შემოღობილი და შიგ ბოსტანია (ილია)... 2. გამოხატავს, რომ ზმნით აღნიშნული მოქმედება მიმართულია იმისაკენ, რაზედაც მიუთითებს ამ ზმნისართით ნაგულისხმევი სიტყვა. [ფიქრის] თაროზე ლითონის მიჭვრიტინა ედგა და შიგ იყურებოდა (მ. ჯავახი)... 3. პირდაპირ, სწორედ (რამეში, რისამე სიღრმეში) შიგ შუა სოფელში აშენებულია ქვიტკირის საყდარი

(ი.გოგებ.)...“ (ქეგლი 1962:1391), ხოლო „შიდა (შიდასი) იგივეა, რაც შიგნითა. შიდა ლაშქარში იდგა ვახტანგი, მტერთან შეხვედრის წუთის დამთვლელი (გ.ლეონ.)...“ (ქეგლი 1962: 1395).

რადგანაც ქართულ ენაში შიდა და შიგა სინონიმებია, ვფიქრობთ, დღეისათვის სწორია ორივე. „ზოგადად კი, მათი გამოყენება ხდება დაუწერელი კანონზომიერებით, რომელიც დამკვიდრებული ფორმის გამოყენებაზეა დამოკიდებული, თუმცა თავდაპირველად ამა თუ იმ ფორმის გამოყენება რასთან იყო დაკავშირებული – ძნელად დასადგენია“ (ეკონომიკა და ბიზნესი II, 2020:200).

შენიშვნა: გვაქვს გარკვეული შემთხვევები, როცა შიგა (შიგ) ზმნიზედას ვერ შეცვლის შიდა, მაგ.: „ქალის გულს იგი სურათი, შიგ გაეყარა ისრად“ (ვაჟა)(შიდ კი არა: შიგ); „შიგა ზის ქალი ეთერი, ყელი მოუღერებია“ (ხალხური)(შიდა კი არა: შიგა); „ზედა ზის შავი ყორანი, ლიბოში გველი ძვრებისა, შიგა წევს თინიბეჟი, გულსუწადინოდ კვდებისა“ (ხევსურული პოეზია) (შიდა კი არა: შიგა)...

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულში გვაქვს კიდევ ერთი ზმნისართი – შინა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში შიგა/შიდას პარალელურ ფორმად მიიჩნევა. „არაერთ დარგობრივ ლექსიკონში ისინი იდენტურ ერთეულებად არის გააზრებული, მაგალითად, შინამოხატულობა შემდგომ შეიცვალა შიგამოხატულობით, შინამოპირკეთება – შიგამოპირკეთებით... დღესდღეობით აშკარად გამოკვეთილია შინასა და შიგა/შიდას სემანტიკური დიფერენციაცია. შინამ უფრო საშინაოს, შინაურის მნიშვნელობა შეიძინა“ (ტერმინოლოგიის საკითხები 2014: 89).

ხაზგასასმელია სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილი ის გარემოებაც, რომ პირველადი ზმნისართები ხშირად გამოიყენება ზედსართავის ფუნქციით და მათი წარმომავლობა შესწავლილია (შანიძე, 1953: 612, 616).

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (1961 წ.) შიგა და შიდა მორფემებით გაფორმებული შემდეგი ლექსიკური ერთეულებია გათვალისწინებული:

შიდაგაყვანილობა (შიდაგაყვანილობისა) ნაგებობის შიგნით მოქცეული გაყვანილობა (ქეგლი 1961:1396);

შიდასარემონტო (შიდასარემონტოსი) სპეც. შიგნითა ნაწილის, მხარის რემონტისათვის საჭირო, განკუთვნილი (იქვე:1396);

შიდასეკრეცია (შიდასეკრეციისა) მედიც. შიდა, შინაგანი სეკრეცია (ქეგლი, 1396);
შიდასეკრეციული (შიდასეკრე-ციულისა) მედიც. შიდასეკრეციის ხასიათისა (იქვე:1396);

შიდაციხე (შიდაციხისა) ციხე-ქალაქის შიგნით, მაღალზე აგებული ციხე-სიმაგრე, – აკროპოლი (იქვე:1396);

შიდაწვა (შიდაწვისა) : **შიდაწვის ძრავა** ტექ., ძრავა, რომელიც მუშაობს საწვავი მასალის ცილინდრის შიგნით წვით (იქვე:1396);

შიდაწნევა (შიდაწნევისა) სპეც. წნევა რისამე შიგნით (იქვე: 1396).

დასახელებულ ლექსიკონში შიგა მორფემით მხოლოდ რამდენიმე ლექსიკური ერთეულია წარმოდგენილი: **შიგადაშიგ**, **შიგაჩარხვა**, **შიგამდეგი**.

თანამედროვე ქართულში, რადიო-ტელევიზიისა და პრესის ენაში შიდა მორფემიანი ლექსიკური ერთეულები სჭარბობენ შიგა მორფემიან ფორმებს. ქართული ენის ეროვნული კორპუსის გათვალისწინებით ასეთი სურათია:

შიდასარემონტო –7	შიგასარემონტო –1	
შიდაციხე–3	შიგაციხე– 0	
შიდასახელმწიფოებრივი – 158	შიგასახელმწიფოებრივი – 4	
შიდაპოლიტიკა – 6	შიგაპოლიტიკა – 0	
შიდასატრანსპორტო – 2	შიგასატრანსპორტო – 0	
შიდასაუნივერსიტეტო – 20	შიგასაუნივერსიტეტო – 0	
შიდაეზო – 3	შიგაეზო – 0	
შიდამოწყობა– 1	შიგამოწყობა– 0	და ა. შ.

შენიშვნა: გუგლის მონაცემების მიხედვით შიგა(შიგ) ზმნისარტები თუ ამ მორფემებით წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულები 146 000-ს შეადგენს (შიგა მხარე, შიგა პლატო, შიგა კუთხე, შიგა აღრიცხვა, შიგა წინაღობა, შიგა სივრცე, შიგა ინვესტიცია, შიგა ინფექცია, შიგა პერანგი...), ხოლო შიდა მორფემებით – 4 780 000-ს (შიდა ტრანზიტი, შიდა გადალაგება, შიდა სესხი, შიდა აუდუტი, შიდა ტრანზიტი, შიდა პროცესი, შიდა არჩევნები, შიდა პორტალი, შიდა პროდუქტი...).

შესაბამისად, დაისმის კითხვა: როგორ უნდა იქნეს გათვალისწინებული შიგა და შიდა მორფემებიანი ლექსიკური ერთეულები ახალ ორთოგრაფიულ ლექსიკონში? უნდა დაეუშვათ თუ არა შიგა-ს პარალელურად შიდა?

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, თანამედროვე ქართულში არანაკლებ აქტუალურია შიგა და შიდა მორფემებით ნაწარმოები ლექსიკური ერთეულების დაწერილობის საკითხი. მაგალითად, შიგა მორფემიანი ტერმინები ერთსა და იმავე დარგობრივ ლექსიკონში გაფორმებულია სხვადასხვაგვარად. „ძირითადად დადასტურებულია ორი მოდელი - ზოგან ტერმინები კომპოზიტად არის მიჩნეული, მაგალითად, შიგასახეხი, შიგამომძრაობა, შიგამოდება, ზოგჯერ – შესიტყვებად: შიგა ბლოკირება, შიგა ანტენა, შიგა ნორმალი... ზოგიერთ დარგობრივ ლექსიკონში იმავე საგნის აღმნიშვნელ კატეგორიებთან შიგა კომპოზიტად არის ქცეული, მაგალითად, შიგა ნორმალი, რომელიც მათემატიკური ტერმინია, ორგან არის დადასტურებული და ისიც სხვადასხვა დაწერილობით, ერთგან ერთად, მეორეგან – შესიტყვებად, ასევე შიგაზომა, შიგანამრავლი, შიგახახუნი, შიგაძალა, ზოგან ერთად არის გაფორმებული, ზოგან – ცალ-ცალკე“ (ტერმინოლოგიის საკითხები 2014: 90).

დღეს „აშკარად თვალში საცემია, რომ შიგა ზმნისართი პოზიციურად მერყეობას იჩენს, ის გვხვდება როგორც პირველ, ასევე მეორე კომპონენტად. ერთგან შესიტყვებები გვაქვს, მეორეგან შესიტყვებები კომპოზიტად არის ქცეული. ამგვარი მერყეობა დაწერილობისას გვაპარაუდებინებს, რომ შესაძლებელია კომპოზიტად ქცევის პროცესი დაწყებულია, მით უმეტეს, რომ შესიტყვებებს კომპოზიტად ქცევის მიდრეკილება აქვს... უნდა გავითვალისწინოთ ასევე ისიც, რომ შიგა აფიქსოიდის ფუნქციასაც ასრულებს... დღეს ტერმინოლოგიურ სისტემაში ძირითადად ის ნორმა დაცული, რომ აფიქსოიდიანი ტერმინები ერთად უნდა დაიწეროს“ (ოსაძე, დათეშიძე 2014: 91).

რადიო-ტელევიზიისა და პრესის ენაში შეინიშნება შიგა და შიდა მორფემებიანი ლექსიკური ერთეულები როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე დაწერილობით.

კონტექსტები თანამედროვე ქართული ენიდან:

„ეს მოწოდება მან შიგატურიზმის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე გააკეთა“ (<http://old.tbiliselebi.ge>), შდრ.: „ტურიზმი თითქმის განულებული იყო და მხოლოდ ქვეყნის შიგა ტურიზმი მუშაობდა“ (<http://qronikaplus.ge>).

„სისხლმზადი სისტემის და შიგასეკრეციის ჯირკვლების დაავადებები“ (<http://cat.bpl.ge>), შდრ.: „ფუტკრის რძე ახალგაზრდაებს ორგანიზმს, ახდენს შიგასეკრეციის ჯირკვლების ფუნქციის სტიმულირებას“ (<http://interclinic.ge>).

„კანონი-საქართველოს შიგასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ (matsne.gov.ge), შდრ.: „უფრო მნიშვნელოვანია ვაჭრობის არაოფიციაური ბარიერების გადალახვის სიადვილე: რუსეთის ურთულესი შიგასახელმწიფოებრივი რეგულირებები“ (tabula.ge).

„კვლავ ჩატარდება შიგასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი აღნიშნულ სახეობებში“ (edu.aris.ge), შდრ.: „ჩვენ შევქმენით შიგასაუნივერსიტეტო რეგულაცია, რომელიც დაამტკიცა აკადემიურმა საბჭომ“ (papava.info)...

„არმაზციხე, ძველი მცხეთის შიდაციხე, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ქალაქის სამხრეთ ნაწილშია განთავსებული“ („ახალი თაობა“: 2008), შდრ.: „ქვედა ეზო და შიდა ციხე სავსე იყო შეხიზნულებით“ (ლ.გოთუა).

„დაუშვილმა სხდომაზე შიდასატრანსპორტო ზედდებულების დოკუმენტაცია წარმოადგინა“ („რეზონანსი“: 2005), შდრ.: „გეგმავს სოციალური პროგრამების შემოღებას და შიდა სატრანსპორტო შეღავათების შემოღებას“ (iod.ge).

„დაიწყო შიდასარემონტო სამუშაოები“ („ახალი თაობა“: 2013), შდრ.: „ – თეატრი საფუძვლიანად რემონტდება? – ეს არის შიდა სარემონტო სამუშაოები, გარე ფასადს არ ვეხებით“ („ახალი თაობა“: 2013).

„საქართველოს შიდაპოლიტიკა საკმაოდ დამაბრკოლებელი ფაქტორია“ (tavisupleba.org), შდრ.: „ამის შემდეგ ვფიქრობდი და დიდი იმედი მქონდა იმისა, რომ ჩვენი შიდა პოლიტიკა დაემსგავსებოდა დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკას“ (tavisupleba.org).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში ვკითხულობთ, რომ ერთად (ერთ სიტყვად) უნდა დაიწეროს „კომპოზიტები, რომლებშიც პირველ წევრად ზმნისართი ან თანდებულია წარმოდგენილი: **ზედნაშენი, თანამშრომელი... წინდაუხედავი, წინამორბედი...**“ (ნორმები 1986: 156).

„შიდას ნაცვლად შიგას გამოყენების არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, ის ვერ დამკვიდრდა ვერც სალაპარაკო და ვერც ოფიციალურ ენაში. ეს არცაა საჭირო, გარდა იმ ერთადერთი შემთხვევისა, თუ დირექტიულად დადგინდება ქართული სალიტერატურო ენის სწორ ნორმად მხოლოდ შიგას გამოყენება (ეკონომიკა და ბიზნესი 2020:201).

„თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (1986 წ.), შიგ, შიგა და შიდა მორფემებიანი ლექსიკური ერთეულები ერთად დაწერილობითაა წარმოდგენილი: შიგაგაყვანილობა (ქეოლი 1998: 552), შიგადაშიგ (იქვე: 552), შიგაჩარხვა (იქვე: 552), შიგაწვა (იქვე: 552), შიგაწვის ძრავა (იქვე: 552), შიგაგარბენი სპორტ. (იქვე: 552), შიგაგახტომი (შიგაგახტომმა) სპორტ. (იქვე: 552), (შიგადაშიგ //) შიგადაშიგ (იქვე: 552), შიგმდგომი (შიგმდგომმა) (იქვე: 552), შიგმჯდომი (შიგმჯდომმა) (იქვე: 552), შიგრკალი სპორტ. (იქვე: 552), შიგტაცი სპორტ. (იქვე: 552), შიგართული (იქვე: 552), შიგაუხედაობა [შიგაუხედლობა] (იქვე: 552), შიგახედული (იქვე: 552), შიდაციხე (ქეოლი 1998: 552). აღსანიშნავია, რომ ორი ლექსიკური ერთეული – შიგასეკრეცია (იქვე: 552) და შიგა წნევა (იქვე: 552) ლექსიკონში ცალ-ცალკე დაწერილობითაა გათვალისწინებული.

როგორც ვიცით, ქართულ სალიტერატურო ენას დიდი ხნის ისტორია და მეტად მდიდარი ტრადიცია მოეპოვება. მასში ერთმანეთის გვერდით დღესაც მტკიცედ დადგული სხვადასხვა ეპოქაში ჩამოყალიბებული ფორმები. ლექსიკონში ამ ორი ლექსიკური ერთეულის (შიგა სეკრეცია, შიგა წნევა) ცალ-ცალკე დაწერილობა, სწორედ, ტრადიციით აიხსნება.

2016 წლის გამოცემაში – „მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის“ – შიგა და შიდა მორფემებიანი ლექსიკური ერთეულები (ისევე როგორც ორთოგრაფიულ ლექსიკონში) ერთად დაწერილობით დასტურდება. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ისინი პარალელურ ვარიანტებადაა დაშვებული შემდეგი ჩანაწერით: შიგაგაყვანილობა (შიგაგაყვანილობისა) [//შიდაგაყვანილობა] (მლმ 2016: 459); შიგაწვა [//შიდაწვა] (იქვე: 460); შიგაწნევა [//შიდაწნევა] (იქვე:460).

თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე ქართული ენის ვითარებას, საანალიზო მასალის დაკვირვების შედეგად მიღებულ სტატისტიკურ მონაცემებს, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ თანამედროვე ქართული ენის ახალ ორთოგრაფიულ ლექსიკონში ზემოთ დასახელებული შიგა და შიდა ზმნისართდართული კომპოზიტები შემდეგნაირად უნდა იქნეს წარმოდგენილი:

შიგაგაყვანილობა // შიდაგაყვანილობა

შიგაწვა // შიდაწვა

შიგასარემონტო // შიდასარემონტო

შიგასახელმწიფოებრივი // შიდასახელმწიფოებრივი

შიგასაუნივერსიტეტო // შიდასაუნივერსიტეტო და ა. შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

დათეშიძე, მუზაშვილი, ოსაძე, 2014 – ნინო დათეშიძე, ნათელა მუზაშვილი, მარინე ოსაძე, შიდა და შიგა მსაზღვრელიან ტერმინთა დაზუსტებისათვის, ტერმინოლოგიის საკითხები III, თბილისი.

მლმ 2016 – მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის, თბილისი.

ნორმები 1970 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

ქეგლი 1961– ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

ქევიკი – ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

ქეოლი1986 – ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

შანიძე 1953 – აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი.

ჯიბუტი 2020 – მიხეილ ჯიბუტი, ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ტერმინის შესახებ, ეკონომიკა და ბიზნესი II, თბილისი.